ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 0701/10/073

ქ. თბილისი **24 ივნისი 2011 წელი**

ქვემო ხელისმომწერნი, ერთის მხრივ დიდუბე-ჩუღურეთის **რაიონის გამგეობა გამგებლის** **რ. სულამანიძის** სახით, (შემდგომში წოდებული "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "მვპ" ხელმძღვანელის ი. ლეჟავას** სახით, (შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2011 წელს გამოსაცხადებელი გამარტივებული და ელექტრონული ტენდერების განცხადებების გაზეთში განთავსების მომსახურეობის (CPV კოდი 79800000) მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" გადასცეს **დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2011 წელს გამოსაცხადებელი გამარტივებული და ელექტრონული ტენდერების განცხადებების გაზეთში განთავსების მომსახურეობა.**

მომსახურეობის მთლიანი ღირებულებაა **600 (ექვსასი) ლარი ყველა ხარჯების გათვალისწინებით** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან შესყიდვის ობიექტის დადგენილი წესით მიღებამდე.
3.2 მომსახურეობის მიწოდების თარიღად ითვლება **2011 წლის 24 ივნისისდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. მიწოდებული მომსახურეობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტსა და ტექნიკურ ნორმებს.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მისცეს გარანტია, რომ მიწოდებული მომსახურეობა არის ხარისხიანი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს ამ სფეროში.
4.3 „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" რაიმე წუნის აღმოჩენის შესახებ.

5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1. „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურეობის ხარისხის ინსპექტირება.

5.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.4. ხელშეკრულების ინსპექტირებაზე „შემსყიდველის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი:

საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტები:
მაია გოგოლაძე
პაატა პატარაია

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების მიმართებაში.
6.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
6.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
6.4 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **600 (ექვსი) ლარი ყველა ხარჯების გათვალისწინებით.**

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1 ანაზღაურება მიწოდებულ მომსახურეობაზე ხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ.
8.2 მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურეობის მიწოდების შესრულების შესახებ დოკუმენტების დართვით.
8.3 შემსყიდველი ვალდებულია ანაზღაურება განახორციელოს უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისაა მიმწოდებლის მოთხოვნის მიღების დღიდან.
8.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.
8.5. მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
8.7 ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.
9.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**
– საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა გარემოების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შესრულებისას.
– მიწოდების დასრულებისთანავე ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობებით, აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება.
9.3 **შემსყიდველს უფლება აქვს:**
– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
– საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებით.
9.4 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

– დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.5 **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურეობის საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

10.1. თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. „შემსყიდველს უფლება აქვს „მიმწოდებელს" შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ, „მიმწოდებლის" მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ:

ა) „მიმწოდებელმა" არ მიაწოდა მომსახურეობა ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში;

ბ) თუ „მიმწოდებელმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გრძელდება 3 /სამი/ დღე, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზები საკუთარი სახსრებით;

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს გადაახდევინოს ყოველი დაგვიანებული დღისთვის პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით;

11.3 თუ მიმწოდებლის მიერ სისტემატიურად ხდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და პირგასამტეხელოს საერთო ღირებულებამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს განიხილოს მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი;

11.4 თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობების მე-8 მუხლის მოთხოვნებს, მას ეკისრება პირგასამტეხელო ჩასარიცხი თანხის 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12. ფორს-მაჟორული სიტუაციები

12.1 მხარეები არ არინ პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

12.4 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და საბოლოო ანგარიშსწორების შედეგი დგინდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
13.2 ხელშეკრულება იდება **2011 წლის 24 ივნისიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთავლისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
15.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. სხვა პირობები

15.1. „მიმწოდებელს" არა აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
15.2. ხელშეკრულება დაწერილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"მიმწოდებელი"	*"შემსყიდველი"*
შ.პ.ს. "მვპ"	**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**
ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68	**ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩის დასაწყისი**
ს.ს „თი ბი სი ბანკი"	**ს.ს "ლიბერთი ბანკის" ც/ფილიალი**
ბ/კოდი TBCBGE22	**ბ/კოდი 220101480, ა/ა GE95LB**
ა/ა № GE24TB0600000018467568	**0125152101627000**
ს/კ 204465131	**საინდ. კოდი 202171167**
ტელ: 40.94.47	
ი.ლეჟავა	*რ. ხულამანიძე*

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №0701/10/073 24.06.2011 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 24 ივნისი 2011 წელი

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ჩვენი მონაწილეობა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2011 წელს გამოსაცხადებელი გამარტივებული და ელექტრონული ტენდერების განცხადებების გაზეთში განთავსების მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

1. რაიონის გამგებელი — რ. სულამანიძე

2. გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთ.სპეციალისტი — მ. გოგოლაძე

3. გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთ.სპეციალისტი — პ. პატარაია